

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა



სიდნაღის მუნიციპალიტეტი

საქართველო

სექტემბერი 2019

მერის მიმართვა

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარება და გაძლიერება ჩემთვის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ჩვენი მუნიციპალიტეტის ტურისტული და



კულტურული ობიექტები, აქტიური ტურისტული სექტორი, განვითარებული სოფლის მეურნეობის დარგები, საინვესტიციო პოტენციალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება და არსებული მუნიციპალური სერვისები არის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველი.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის სურვილი და მიზანია განვავითაროთ და გავაძლიეროთ ეკონომიკა, შევქმნათ სამუშაო ადგილები, შევქმნათ სტაბილური და მზარდი ბიზნეს გარემო უცხოელი ინვესტორებისთვის. ეს ყველაფერი კი კერძო სექტორებთან თანამშრომლობის გარეშე

არ იქნება შედეგიანი. აუცილებელია გავიზიაროთ როგორც ერთმანეთის, ასევე ჩვენი პარტნიორი ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და გამოცდილებები. სწორედ ამიტომ გადავდგით ჩვენი მუნიციპალიტეტის წინსვლისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი და შევუერთდით ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“.

აღნიშნული ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავებულია იმ რესურსების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელიც მუნიციპალიტეტს გააჩნია და განსაზღვრულია რამოდენიმე წლიანი მოქმედების ვადით. ის უნდა გახდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტისთვის ეკონომიკური სიმტკიცის და ზრდის მომტანი. ეკონომიკური განვითარების გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსება ძირითადად მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, თითოეულ ორგანიზაციას, ბიზნეს სექტორს. ყველას ვინც აქტიურად თანამშრომლობდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასთან და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადგილობრივი ეკონომიკური გეგმის ჩამოყალიბების და განვითარების პროცესში. იმედი გვაქვს შემდგომი თანამშრომლობის და თანამონაწილეობის.

მე, როგორც მუნიციპალიტეტის მერი, გამოვთქვამ მზაობას ვითანამშრომლოთ და გავიზიაროთ გეგმასთან დაკავშირებული ნებისმიერი აზრი და რეკომენდაცია. პირადად ვიქნები ჩართული მისი განხორციელების და მონიტორინგის პროცესში. მოგიწოდებთ ადგილობრივ მცირე თუ მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს, ინვესტორებს, სამოქალაქო საზოგადოებას, ჩაერთეთ და თქვენი წილი აგური დადეთ სიღნაღის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის აღმშენებლობისაკენ და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისაკენ.

პატივისცემით

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი
გიორგი გოგილაშვილი

გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ: სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიას

სახელი : გიგა შუშტაკაშვილი

თანამდებობა : სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის, ტურიზმის, საგარეო ურთიერთობის და

საერთაშორისო პროექტების განყოფილების ხელმძღვანელი

მისამართი : ქ.სიღნაღი დ.აღმაშენებლის მოედანი N2

ტელეფონი : +995977959005

ელ-ფოსტა : giga.shushtakashvili@sighnaghi.gov.ge

ვებ-გვერდი : www.signagi.gov.ge

1. მოკლე შეჯამება

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა მომზადებულია ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორების მიერ, ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სექტორის თანაბარი ჩართულობით, გამოვლენილი იქნა უმთავრესი ეკონომიკური მიმართულებები, ეფუძნება საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასა და მიდგომებს, მიმართული კერძო სექტორის ზრდისაკენ, რათა საბოლოო ჯამში ხელი შეეწყოს ადგილობრივ განვითარებასა და დასაქმებას.

გეგმის შემუშავების პროცესში განხორციელდა განვითარების შესაძლებლობების და საჭიროებების სიღრმისეული კვლევა, შემუშავდა SWOT ანალიზი და მთავარი დასკვნები. ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მნიშველოვანია ისეთი სისუსტეების დაძლევა, როგორცაა არასაკმარისად განვითარებული ბიზნეს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი სამუშაო ძალის მიგრაცია, ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი მუნიციპალური სერვისების სიმცირე, ბიზნეს სექტორში ტექნოლოგიებისა და ცნობიერების არასათანადო დონე.

შემუშავდა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხედვა, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტის მიმზიდველობის ზრდას ტურისტებისა და ინვესტორებისათვის, ეკონომიკის დივერსიფიკაციას და ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის არსებობას. ხედვის მისაღწევად განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მთავარი მიზნები: მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა; სამეწარმეო უნარების განვითარება და სამეწარმეო შესაძლებლობების ზრდა.

მიზნების მისაღწევად დაისახა შემდეგი ქმედებები: მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის ყოველწლიური ფესტივალებისა და სახალხო დღესასწაულის მოწყობა; ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა ბაზრობებში და ფესტივალებში მონაწილეობა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება დამეგობრებულ ქალაქებთან; სტარტაპერების, ახალგაზრდების, ქალების, შშმ. პირებისთვის და ინკლუზიური ჯგუფებისთვის სამეწარმეო და სამუშაო უნარებისა და ეკონომიკური გაძლიერებისთვის სასწავლო შეხედრების ჩატარება; აგროსექტორის დარგის სპეციალისტების გადამზადება; ბიზნესის დამწყებთა და მცირე მეწარმეებისთვის დაფინანსების ხელისაწვდომობა.

სამოქმედო გეგმაში გაწერილი ღონისძიებების განსახორციელებლად გათვალისწინებულია ჯამში 8 757 950 ლარი (2 766 435 ევრო), საიდანაც 62,5% დაფინანსდება მუნიციპალური და სახელმწიფო ბიუჯეტით, კერძო სექტორიდან - 20%, დონორი ორგანიზაციების მიერ - 17%, ხოლო წყვეტა დაფინანსებაში შეადგენს 0,5%. თითოეული პროექტი კონკრეტული, დროში გაწერილი, გაზომვადი და მიღწევადია. თუმცა გარკვეულ ეტაპებზე დაგეგმილია დაფინანსების მოძიება საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან და მეწარმეებიდანაც.

2.სარჩევი

მერის მიმართვა	0
1. მოკლე შეჯამება	3
2.სარჩევი.....	4
3. შემოკლებები.....	4
4. გეგმის შესავალი	5
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი.....	5
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი	6
6.1. ადგილობრივი ეკონომიკის ანალიზი:.....	6
6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური ურთიერთობები.....	8
6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია:....	9
6.4. ფინანსების ხელმისაწვდომობა	10
6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა:.....	10
6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო:.....	11
6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა:.....	11
6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი:	12
8. ხელვა და მიზნები.....	13
9. სამოქმედო გეგმა	15
10. დაფინანსების სქემა	17
11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები	18

3. შემოკლებები

დანართები

დანართი ა. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

დანართი ბ. თემატური ბლოკების ანალიზი

LEDO - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცერი

SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები

NGP - არასამთავრობო ორგანიზაცია

EU - ევროკავშირი

M - მეტრი

KM - კილომეტრი

4. გეგმის შესავალი

2018 წლის მარტში სიღნაღის მუნიციპალიტეტი შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“, რითაც ადგილობრივმა თვითმმართველობამ გამოხატა მზადყოფნა ითანამშრომლოს ბიზნესთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, ხელი შეუწყონ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და სამუშაო ადგილების შექმნას. რაც მოხდება ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობით და აქტიური ჩართლობით.

სიღნაღის მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარეში მდებარეობს. მას ესაზღვრება კახეთის მუნიციპალიტეტები: ლაგოდეხი, გურჯაანი, საგარეჯო და დედოფლისწყარო. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 1251.7 კვ.კმ-ს. ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს ქალაქი სიღნაღი, რომელიც თბილისიდან 115 კმ-ით არის დაშორებული (1 სთ და 30 წუთის სავალი დროით), თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 97 კმ-ით (1 სთ და 40) წუთის სავალი დროით. სიღნაღის მუნიციპალიტეტი ზღვის დონიდან 750 მ სიმაღლეზე მდებარეობს, თვითმმართველი ერთეულის ყველაზე მაღალი წერტილი - 1087 მეტრია, ხოლო ყველაზე დაბალი წერტილი 217მ. მუნიციპალიტეტი ადვილად მისადგომია საავტომობილო ტრანსპორტით.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის 21 დასახლებაში 29.5 ათასი კაცი ცხოვრობს. ბოლო 25 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 40%-ით არის შემცირებული. მუნიციპალიტეტის დასახლებებიდან ორი ურბანული დასახლებაა: ქალაქი სიღნაღი (თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრი) და ქალაქი წნორი. მუნიციპალიტეტის სოფლებიდან სამი - მაღალმთიანი დასახლებაა.

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა არის კერძო და საჯარო სექტორთან დიალოგით შექმნილი გეგმა, რომლის მიზანია კერძო სექტორის განვითარება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკური ზრდა, განვითარება და დასაქმება. გეგმა შემუშავებულ იქნა ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სტანდარტების შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების პარტნიორობით.

გეგმაში გაწერილი ქმედებები დაფინანსებული იქნება, როგორც სიღნაღის მუნიციპალიტეტისა და მაღალი დონის ბიუჯეტებიდან, ასევე ბიზნესის და დონორ ორგანიზაციების მხრიდანაც. ადგილობრივ ბიუჯეტში აისახება პროგრამებისა და ქვეპროგრამების სახით. ყველა მათგანი კონკრეტული, დროში გაწერილი, მიღწევადი და გაზომვადია.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავება მოხდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის აქტიური ჩართულობით, როგორც ყველა პროექტზე, აღნიშნულ საკითხზეც ადგილობრივ ხელისუფლების, ბიზნეს სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის გაიმართა კონსულტაციები. გავაცანით ინიციატივის კონცეფცია. საჭიროებების

გამოვლენის, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით ჩატარდა შეხვედრები ეკონომიკური სფეროების წარმომადგენლებთან სხვადასხვა სექტორებიდან. გამოვავლინეთ დაინტერესებული მხარეები, შეირჩა დამგეგმავი პარტნიორები. ძირითადი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა ხმათა უმრავლესობით, უმეტესი საკითხი კონსენსუსის გზით გადაწყდა.

მერის ბრძანებით შეიქმნა უშუალოდ გეგმის შემუშავებელი ჯგუფი, რომლის წევრებს შორის როგორც მერიის, ასევე საკრებულოს წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების და კერძო ბიზნესის წარმომადგენლები არიან. საკრებულოდან ჩართული იყო, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე ასევე სხვადასხვა კომისიის ხელმძღვანელები. მათ შორის ეკონომიკის.

ჩატარდა შეხვედრა ბიზნესის წარმომადგენლებთან. 1 შეხვედრა მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, საჯარო სექტორის და სამუშაო ბიზნესის წარმომადგენლებთან. 1 შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიმდინარეობისას დამსწრე პირებს ეთხოვათ ანკეტური კითხვარების შევსება, კითხვარები შემუშავებული იქნა ინიციატივის სამდივნოს მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. შეხვედრების დროს შეგროვდა, როგორც ეკონომიკური ანალიზისთვის საჭირო მონაცემები, ასევე მოხდა საჭიროებების გამოვლენა, ხედვისა და მიზნების ვერსიების შემუშავება. შეხვედრების ორგანიზებისას გათვალისწინებული იქნა გენდერული ბალანსი. ქალბატონების (60%) და მამაკაცების (40%) რაოდენობა.

გამოიკვეთა მეღვინეთა პრობლემები. ძირითადი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტში არ არსებობს ქარხანა რომელიც მოსავალის მაქსიმალურ ნაწილს აითვისებს. მევენახეები იძულებულნი ხდებიან მეზობელი მუნიციპალიტეტის ღვინის ქარხანაში მოახდინონ რეალიზაცია. შეხვედრაზე განხილულ იქნა ინვესტორის მოძიების საკითხი და აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზები. მერის ინიციატივით შეხვედრების მიმდინარეობისას სექტორების მიხედვით დაიგეგმა პარტნიორული ურთიერთობები, დამატებით ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა მეღვინეებთან და მევენახეებთან. პარტნიორობისა და ერთობლივი მუშაობისათვის დაიგეგმა რიგი ღონისძიებები, რომლებიც გაწერილია სამოქმედო გეგმის ნაწილში.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკის ანალიზი:

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითად აქტივს წარმოადგენს ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, მესაქონლეობა, მომსახურების და ვაჭრობის სფეროები. მათ შორის ყველაზე მეტად მზარდი და პერსპექტიული სფეროებია ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა. მათ შორის ტურიზმს განსაკუთრებული ადგილი უკავია, თავისი ისტორიული და კულტურული ძეგლებით. გამოირჩევა სიღნაღის ისტორიული ციხე-გალავანი, ქალაქი თავისი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის მონასტერი, წმინდა სტეფანე ხირსელის მამათა მონასტერი, აღნიშნული ადგილები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ვიზიტორებში. ასევე აღსანიშნავია სოფელი მაჩხაანი თავისი განსაკუთრებული არქიტექტურით და ისტორიით, რომელიც

თავის ადგილს დაიკავებს ქართული ტურიზმის და სიღნაღის მუნიციპალიტეტის განვითარებაში.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციით 2018 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით 2000 წლიდან სიღნაღის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 1 უცხოური საწარმოს ფილიალი, 3 სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 5 სააქციო საზოგადოება, 18 კოოპერატივი, 663 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და 2978 ინდივიდუალური მეწარმე. ყოველ წელს იზრდება მეწარმეთა რეგისტრირების რაოდენობა და ემატება ეკონომიკური საქმიანობის სფეროები. მეწარმეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართ ბ-ში. რაც შეეხება სფეროებს ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით ძირითადი ვაჭრობაა. დანარჩენი სფეროების წილს ნახავთ დანართ „ბ“-ში. განვითარებული და მრავალფეროვანი ტურიზმის მიუხედავად, გასაუმჯობესებელია მომსახურება და სერვისი.

ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით იმატა სოფლის მეურნეობის კუთხით მომუშავე მეწარმე სუბიექტების რაოდენობამ, რაც როგორც სახელმწიფო პროექტების, ასევე კერძო სექტორის გააქტიურების დამსახურებაა. მაგალითად, ერთიანი აგრო პროექტის ფარგლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტში სახელმწიფოს მხრიდან დახმარება გაეწია 5 მეწარმე სუბიექტს, ხოლო შეღავათიანი აგრო გრედიტის ფარგლებში დაფინანსდა 3 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და 54 ინდ.მეწარმე. 2018 წლისთვის პროგრამა აწარმოე საქართველოს ინვესტირებით გაძლიერდა 48 მეწარმე, მათ შორის ჭარბობს ტურიზმის სფეროში მომუშავე მეწარმე სუბიექტები. სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფართოვდება და არა მხოლოდ ტრადიციული კულტურების განვითარებას ეწყობა ხელი. ბოლო წლების განმავლობაში აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს ქართული ზეთისხილის საწარმოს განვითარებისთვის, რომელიც სიღნაღის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. ადგილზე ხდება მოსავლის მიღებაც და გადამამუშავებაც. ყოველ წლიურად იზრდება წარმოება, მოსავლის რაოდენობა და ბაზარზე იკავებს თავის ნიშას, როგორც სიღნაღის მუნიციპალიტეტში წარმოებული ქართული ზეთისხილი. გარდა ამისა უკანასკნელ წლებში მუნიციპალიტეტში დაიწყო კენკროვანი კულტურების (ყოლო, ლურჯი მოცვი, მარწყვი) მასიური გაშენება რაც გამოიწვია ამ კულტურებისადმი ყოველწლიურად მზარდმა მოთხოვნამ.

როგორც მეღვინეობის 8000 წლიანი ისტორიის ქვეყანა, ჩვენი მუნიციპალიტეტიც არ ჩამორჩება მეღვინეობის განვითარებას. ყოველ წლიურად ემატება ახალი საოჯახო მარნები, თუმცა მათი განვითარებისთვის აუცილებელია მეტი ფინანსები და დახმარება, როგორც სახელმწიფო სექტორის, ასევე დონორი ორგანიზაციების მხრიდან.

რაც შეეხება ტურიზმს, სიღნაღი ერთ ერთი ყველაზე სასურველი და მაღალ რეიტინგული ტურისტული ქალაქია საქართველოში. ვიზიტორების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. ბოლო წლების სტატისტიკური მაჩვენებლებით სიღნაღს ყოველწლიურად 15-20 %-ით მეტი სტუმარი ჰყავს. ტურისტების მატებით იზრდება მოთხოვნა განთავსების და კვების ობიექტებზე. 2018 წლის 30 ნოემბრის მონაცემებით მხოლოდ ქალაქ სიღნაღში რეგისტრირებულია 100-მდე განთავსების ობიექტი, 20 კვების ობიექტი და 15-მდე ღვინის მცირე მაღაზია-მარანი. შენდება ახალი სასტუმროებიც. ქართული ინვესტიციით მალე ქალაქ სიღნაღში ახალი 160 ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა დასრულდება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სიღნაღის ტურისტული პოტენციალით დაინტერესებას გამოხატავენ უცხოელი ინვესტორებიც. მაგალითად, რამოდენიმე განთავსების ობიექტი დაარსდა ამერიკელი ინვესტორების მიერ, არიან ინვესტორები ევროპის ქვეყნებიდანაც. ქალაქ სიღნაღის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ობიექტებით დატვირთული ქალაქის

განვითარების პარალელურად, იზრდება სოფლების ტურისტული პოტენციალით. უკვე აქტიურად მუშაობს სოფლებში საოჯახო მარნები, ეთნოგრაფიული ეზოები და საოჯახო სასტუმროები. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ადგილზე ხელით დამზადებული სუვენირები და ნაქსოვები ნივთები, რომლის წარმოების ძირითადი ადგილი სოფლებშია და რომლის პოპულარიზაციასა და განვითარებაშიც დიდი წვლილი მიუძღვით სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ტურიზმის განვითარების ერთერთი მთავარი ფაქტორი ქალაქში არსებული ტურიზმის საინფორმაციო ცენტრია, რომელიც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ქალაქის წარმოსაჩენად. ორგანიზებას უწევს საინფორმაციო ბროშურების და რუკების გავრცელებას, ასევე მუნიციპალიტეტის რეკლამირებას ონლაინ და სატელევიზიო სივრცეში.

6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური ურთიერთობები

სიღნაღის მუნიციპალიტეტში კერძო მეწარმეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის სფერო კარგად არ არის ჩამოყალიბებული, შეიძლება ითქვას რომ ეხლა იწყებს განვითარებას. თუმცა არის სფეროები, რომლებიც წლებია არიან ჩამოყალიბებული და თანამშრომლობენ და მოღვაწეობენ აქტიურად. მაგალითად, ფერმერ ქალთა ასოციაცია, რომელიც შეიქმნა 2013 წელს და ამ დროისთვის არის 15 წევრისგან შემდგარი. კერძო მეწარმეები ასევე პირადი ურთიერთობებით ამყარებენ ბიზნეს კავშირებს, გარკვეული უთიერთობები ჩამოყალიბებულია რეგიონის სავაჭრო სამრეწველო პალატასთანაც. მუნიციპალიტეტში თანამშრომლობისა და კომუნიკაციის სტრუქტურული მექანიზმი ან რაიმე ინსტიტუცია ჩამოყალიბებული არ არის, ბიზნესის წარმომადგენლები ერთმანეთისთვის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას სპონტანური შეხვედრებისას თუ ახდენენ. სოფლის მეურნეობაში არსებობს გარკვეული სტრუქტურირებული თანამშრომლობის გამოცდილება, რაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არსებობაში გამოიხატება. დაახლოებით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების, სახელმწიფო ინიციატივებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით აქტიურად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა და მსგავსი ტიპის თანამშრომლობის წახალისება. სახელმწიფო პროგრამები და საერთაშორისო ორგანიზაციები. შესაბამისად, იქმნება ერთგვარი პლათფორმა, სადაც სხვადასხვა კოოპერატივების წარმომადგენლებს ეძლევათ ერთმანეთთან საუბრისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა. ამჟამად, მუნიციპალიტეტში 12 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მოქმედებს. რაც შეეხება თანამშრომლობას ბიზნეს კომპანიებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას შორის-არსებობს ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება. მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით ბიზნესის წარმომადგენლებისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის შეხვედრები, რომელთა ფარგლებშიც ხდება კონკრეტული შესაძლო დაფინანსების წყაროებზე ინფორმაციის მიწოდება, თუმცა კერძო სექტორი მხოლოდ მსმენელის როლში გამოდის და სათანადო შედეგები არ დგება. რეგიონის მასშტაბით ტარდება ბიზნეს ფორუმები რაც ხელს უწყობს პრობლემების იდენტიფიცირებას და მათ გადაჭრას ერთობლივი ძალებით.დაგეგმილია თითოეული მუნიციპალიტეტის აქტიური ჩართვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში.გარდა ამისა არსებობს ე.წ გეგმა პოლონეთის დახმარებით,სადაც ხდება მუშობა საინვესტიციო შესაძლებლობების გასაზრდელად.

ბიზნეს სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებებთან შეხვედრებისას მერი მუდმივ მზადყოფნას აცხადებს კერძო და საჯარო თანამშრომლობის განვითარებაზე, ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე, რომელიც ხელს უწყობს კერძო სექტორის

წარმომადგენლების კვალიფიკაციის ზრდას, მუნიციპალიტეტის იმიჯის ამაღლებას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და ფინანსური წყაროების მოზიდვას. თანამშრომლობის გაუმჯობესება, მეგობრულ პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ადგილობრივი კერძო სექტორის ზრდას.

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია:

სიღნაღის მერიაში საქმისწარმოება ხორციელდება „ერთი ფანჯრის,, პრინციპით, მატერიალური თუ ელექტრონულად შეტანილი დოკუმენტი რეგისტრირდება მერიის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, შემცირებულია დოკუმენტბრუნვის დრო. ელექტრონული საქმიანობების სისტემით მუნიციპალიტეტი უკავშირდება ყველა სამთავრობო ორგანოზაციას და სხვა საჯარო დაწესებულებებს. მოქმედებს მერიის ვებ-გვერდი და მერიის დაქვემდებარებაში მყოფი საინფორმაციო სამსახური, რომლებიც ძირითადად ადგილობრი ხელისუფლების ჩართულობით განხორციელებულ აქტივობებს აშუქებენ. მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურში მოქმედებს ტურიზმის განვითარების განყოფილება. ტურიზმის განყოფილებას ასევე შეთავსებული აქვს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ფუნქცია.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია ცდილობს ხელი შეუწყოს ბიზნეს სექტორის განვითარებას სხვადასხვა საქმიანობების განხორციელებით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საქმიანობები სპონტანური ხასიათისაა, არ არის მოქცეული კონკრეტულ სისტემაში და არ ეყრდნობა რაიმე სახის სტრატეგიულ დოკუმენტს.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია საკუთარი სატენდერო წინადადების წარდგენა. სატენდერო კომისიის საქმიანობა გამჭვირვალეა და ყველა გადაწყვეტილება აიტვირთება სააგენტოს ვებ გვერდზე. სააგენტოს დავების განხილვის საბჭო განიხილავს ყველა შსულ საჩივარს.

მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემა ან პრივატიზება ხორციელდება ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების მონაცემები თავსდება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე. ელექტონულ აუქციონში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები ღიაა მოქალაქეებისთვის და მათ შეუძლიათ წარმოადგინონ შენიშვნები და ინიციატივები. ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან საკრებულოსადმი მიმართვების რაოდენობა საკმაოდ დიდია. ითხოვენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადგილების იჯარით აღებას. კონკრეტული განაცხადების განხილვა ხდება საკრებულოს სხდომაზე საჯაროობის პრინციპით. მუნიციპალიტეტში მოქმედებს მერიის დაქვემდებარებაში არსებული გაზეთი, მერიის ვებ გვერდი და ფეისბუქ გვერდი რომლებიც აქტიურად აშუქებენ ადგილობრივ სიახლეებს და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მუშაობას. ამის მიუხედავად არის რაღაც კომპონენტები, რომლებიც საჭიროებს განვითარებას და დახვეწას. მაგალითად უკეთესი იქნებოდა რომელიმე ადგილობრივი ტელევიზიის არსებობა და მაქსიმალური ჩართულება გაშუქებასა და რეკლამაში.

6.4. ფინანსების ხელმისაწვდომობა

სიღნაღის მუნიციპალიტეტში კერძო სექტორის განვითარებისთვის არსებული ფინანსური რესურსების შესახებ ინფორმაცია არც ისე დიდია, მიუხედავად სახელმწიფო პროგრამების არსებობისა და მათ ვებ გვერდზე გამოქვეყნებისა განთავსებული მონაცემები არ არის საკმარისი და საჭიროებს უფრო მეტ დეტალიზაციას. ამასთან, მუნიციპალიტეტში მოქმედებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლობა, რომლებიც შეძლებისდაგვარად სრულყოფილად ახდენენ სამინისტროს ხელშეწყობით განსახორციელებელი პროექტებზე მოსახლეობის ინფორმირებას და დაინტერესებას. ბიზნეს კომპანიების უმეტესობას ინტერნეტ რესურსებთან წვდომა აქვთ და მათთვის საჭირო ინფორმაციებს იღებენ დროულად. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გასცემს სესხებს მცირე ბიზნეს კომპანიებისა და აგროსექტორისთვის. მოთხოვნა მეტი ოდენობის სესხებზე იზრდება და ბიზნეს კომპანიები სირთულეებს აწყდებიან სესხებისათვის საჭირო გირაოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამასთან, მსხვილი სესხების გაცემა განიხილება ბანკების რეგიონალურ და სათაო ოფისებში. ბანკები სესხებს გასცემენ როგორც ძირითადი საშუალებების შესაძენად ასევე საოპერაციო ხარჯებისა და საბრუნავი საშუალებებისთვის. ბიზნეს მძიმე ტვირთად აწვება სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი, ბანკები სესხებს გასცემენ ასევე სტარტაპარებისთვის.

სახელმწიფოს მხრიდან სოფლი მეურნეობის დარგში მოქმედ პროექტებში დაფინანსების პროცესები ხშირად ჭიანჭურდება და მეწარმეები აგრო ვადებში ვეღარ ეტყვიან.

მუნიციპალიტეტში აუცილებელია შეიქმნას რაიმე სტრუქტურირებული ერთეული, რომელიც ბიზნეს სექტორზე გასცემს დეტალურ ინფორმაციას ფინანსური სახსრების მოძიებასა და ხელმისაწვდომობაზე.

ამასთანავე აუცილებელია სადაზღვეო სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება, ხშირი სტიქიური მოვლენები, როგორცაა ჭარბი ნალექი, სეტყვა და გვალვა აზიანებს მოსავალს და მოსახლეობას უჭირს საკრედიტო ორგანიზაციებთან ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ზიანდება მოსავალი და მისი სარეალიზაციოდ გამოყენება ხდება შეუძლებელი. სადაზღვეო სისტემა ამცირებს რისკს. საჭიროა დახვეწა და მორგება არსებულ მოთხოვნებზე.

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა:

ბოლო წლებში ბიზნესის განვითარების ტენდენციის პარალელურად იზრდება მოთხოვნა შენობა-ნაგებობებზე, მიწასა და ბიზნეს ინფრასტრუქტურაზე. მერიის ეკონომიკის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწების იდენტიფიცირებას, დაურეგისტრირებელი მიწების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას, საკუთრებაში არსებულის შენობება-ნაგებობების ინვენტარიზაციას. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 44.08 ჰა არასასოფლო დანიშნულების მიწა და 88 ერთეული შენობა-ნაგებობა. მთლიანი მუნიციპალიტეტის რესურსი კი ასეთი: სახნავი-41811 ჰა, მრავალწლიანი - 3949, საძოვარი-54121, ტბორი - 1127.

მოთხოვნა ძირითადად მიკრო კომპანიებისთვის შესაფერის და იზოლირებულ სავაჭრო სამუშაო სივრცეებზე არის. მუნიციპალიტეტს აქვს ქონებები, რომელიც ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და გაცემულია იჯარით 42 ობიექტი, მაგრამ მოთხოვნა უფრო დიდია. საოფისე ფართები ძირითადად კერძო საკუთრებაშია განლაგებული, მაგრამ ფასები იმდენად მაღალია, ბიზნეს კომპანიებს არ აქვთ სახსრები იქირაონ ეს ფართები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული და სახელმწიფო ქონებები ძირითადად ამორტიზირებულია,

ამასთან უმეტესი ნაწილს არასტრატეგიული მდებარეობა აქვს საოფისე, სავაჭრო ფართებისთვის.

დროში იწელება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, მიწისა და ინფრასტრუქტორის პრივატიზებითა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცედურები, რაც გარკვეულ დაბრკოლებებს უქმნის კერძო ბიზნესს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადაა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თავისუფალი ქონებებიც, დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში გარკვეული ქონებების გადმოცემა ხდება მუნიციპალიტეტზე.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა გეგმავს საინვესტიციო მონაცემების ბაზის შექმნას, სადაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებებთან და წინადადებებთან ერთად განთავსებულის იქნება კერძო სექტორის საინვესტიციო წინადადებები. ამასთან აუცილებლობას წარმოადგენს მცირე საწარმო-საოფისე ფართებზე ხელმისაწვდომობის ზრდა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტს გააჩნია საკმაოდ დიდი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებიც მაღალი მოსავლიანობით გამოირჩევა. აგრო სექტორის განვითარებისა, მიწების რაციონალურად გამოყენებისთვის და კულტურების სწორად შესარჩევად მნიშვნელოვანია ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ჩატარება.

6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო:

ბიუროკრატიული ბარიერები მოხსნილია კერძო ბიზნესისთვის, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს რიგი რეგულაციები და ადმინისტრაციული წესები. ერთერთი გამოკვეთილი შემაფერხებელი საკითხია მშენებლობის ნებართვის მისაღები პროცედურები. უწყებათა შორისი კოორდინაცია არ არის მოქნილი და შედეგიანი. დრო სჭირდება მშენებლობის ნებართვის მიღებას. მიმდინარეობს უკანაონოდ დაკავებული მიწების აღიარება და დამტკიცება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომელიც 2020 წლამდე იმოქმედებს. დიდი პლიუსია კერძო სექტორის განსავითარებლად. თუმცა გარკვეული შეფერხებებით მიმდინარეობს მიწისა და ქონების რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და გაცემა.

მუნიციპალიტეტში შემუშავებული არ არის სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარების პროგრამები და სტრატეგიები, შესამუშავებელი და დასამტკიცებელია მარკეტინგული სტრატეგია.

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა:

ადამიანური კაპიტალის განვითარება სიღნაღის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი გამოწვევაა. პრფესიული საგანმანათლებლო სისტემა ვერ პასუხობს ბიზნეს სექტორის რეალურ საჭიროებებს. მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პირობებში მოთხოვნა მომსახურე პერსონალზე და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე დიდია. მაღალმოთხოვნადაა აგრეთვე უცხო ენების მცოდნე გიდები, მზარეულები, ვეტერინარები, აგრონომები. მოთხოვნაა კვალიფიციურ კადრებზე თითქმის ყველა სექტორში, თუმცა იმის გამო, რომ ადგილობრივ შრომის ბაზარზე დაბალია შრომის ანაზღაურება მუნიციპალიტეტიდან შრომისუნარიანი და კვალიფიციური კადრები გადინებულია მსხვილ ურბანულ ქალაქებში და ქვეყნის გარეთ.

შიდა მუნიციპალური დასაქმების სააგენტო არ არსებობს, დასაქმების მსურველები პირადი კონტაქტებით ან ინტერნეტ რესურსებით იძიებენ ვაკანსიებს. მიმდინარეობს მძღოლების და გიდების გადამზადება ტურიზმის ერვნიული ადმინისტრაციის მიერ სერვისსა და პრაქტიკულ უცხო ენებში.

ზოგიერთი ბიზნეს კომპანია უზრუნველყოფს სწავლებას მხოლოდ მათი საჭიროებების მიხედვით, მაგრამ მას არ აქვს ორგანიზებული ხასიათი და ეს არ არის შეთანხმებული ამავე სექტორში მომუშავე სხვა კომპანიებთან.

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი:

სიღნაღის მუნიციპალიტეტი მეტად მიმზიდველი ადგილია ტურისტებისთვის და ინვესტორებისთვის, კახეთის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით. ადგილმდებარეობის ფაქტორი მნიშვნელოვანია არსებული ბიზნესის გაფართოებისა და ახალი ბიზნეს კომპანიების მოზიდვისთვის.

ყოველწლიურად კეთდება ტურისტული ინფრასტრუქტურა, დასასვენებელი პარკები, საფეხმავლო ბილიკები, საცურაო აუზი, სხვადასხვა ტურისტული მომსახურების ობიექტები. ტურიზმის ტრადიციულ სახეობებთან ერთად ვითარდება ექტრემალური ტურიზმიც, როგორებიცაა ზიპლაინი და პარაპლანი.

მუნიციპალიტეტი რეგიონის და ქვეყნის მასშტაბით ცნობილია ღვინით. მეღვინეები მუდმივად იღებენ მონაწილებას ღვინისა და ადგილობრივი პროდუქციის ფესტივალებში, საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში, არიან სხვადასხვა ფესტივალში გამარჯვებულები როგორც ქვეყნის შიგნით ისე საზღვარგარეთ.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისფლების ძალისხმევამ სიღნაღის ტურისტულ ადგილად პოპულარიზაციის მიმართულებით, სხვადასხვა სარეკლამო კამპანიებმა, ქვეყანაში ტურისტების ზრდის ტენდენციამ განაპირობა ტურისტების ნაკადის ეტაპობრივი ზრდა ქვეყნის სხვა კუთხეებიდან და საზღვარგარეთიდან.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია, ტურიზმის განყოფილება, საინფორმაციო ცენტრი და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მუშაობენ მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის ამაღლებაზე.

მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით ადგილობრივი თვითთმმართველობის წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში და ფესტივალებში. კერძო სექტორთან ერთად შემუშავებულია მუნიციპალიტეტის ტურისტული რუკა, ბუკლეტები და ვიდეორგოლები.

7. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
-----------------	----------------

<ul style="list-style-type: none"> • ტურისტული ობიექტების მრავალფეროვნება და სიმრავლე • სოფლის მეურნეობის დარგების მრავალფეროვნება(მეღვინეობა,მესაქონლეობა,კენკროვანი კულტურები) • ბუნებრივი რესურსების სიუხვე • საოჯახო ღვინის მარნების სიმრავლე და ბიო ღვინის წარმოება • თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო მიწები და ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> • ტურისტული მომსახურების(სერვისის) დაბალი დონე • ბიზნეს სერვისებისა და ინფრასტრუქტურის ნაკლებობა • სამეწარმეო განათლების არასათანადო დონე • ადგილობრივი შრომისუნარიანი კადრების მიგრაცია • ნაკლებად ხელმისაწვდომი სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და სერვისები • ინვესტიციებისა და ფინანსური ხელმისაწვდომობის ნაკლებობა • სასოფლო სამეურნეო სავარგულეზამდე მისასვლელი არასაკმარისად გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა • სამუშაო ადგილების სიმცირე
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ქვეყანაში მოქმედი ბიზნეს ხელშემწყობი პროექტები(მაგალითად პროექტი „აწარმოე საქართველოში“) • ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა (შემცირებული ბიურკოკრატია და ერთი ფანჯრის პრინციპით რამოდენიმე სახის მომსახურება ერთ ორგანიზაციაში,იუსტიციის სახლის მაგალითზე) • ტურისტების ზრდის მაღალი ტენდენცია • მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქტზე მზარდი მოთხოვნა(ღვინო, ზეთისხილის პროდუქტები) • საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა • ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა და ბიზნესის დაწყების სიოლღე • ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სირცე 	<ul style="list-style-type: none"> • სოფლის-მეურნეობაში გავრცელებული დაავადებები (ვაზის მარცვლეულის, მინდვრის თავვი, კლიმატური პირობები და პირუტყვთა დაავადებები • იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე დაბალი ფასი • ქვეყანაში მიგრაციის მაღალი ტენდენცია

8. ხელვა და მიზნები

სიღნაღის მუნიციპალიტეტი მიმზიდველი ადგილია ტურისტებისა და ინვესტორებისათვის, მისი ეკონომიკა დივერსიფიცირებულია და არსებობს ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა.

მთავარი მიზნებია:

მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა;

9. სამოქმედო გეგმა

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა შემუშავებულია პარტნიორობისა და ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით, რომელიც მათივე აქტიური მხარდაჭერითა და მონაწილეობით განხორციელდება მითითებულ ვადებში. სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია აგრობიზნესის, ტურიზმის, მცირე და საშუალო ბიზნესების ხელშეწყობაზე. აქცენტი კეთდება, ბიზნეს საქმიანობებში ისეთ სოციალური ჯგუფების გააქტიურებაზე, როგორცაა ქალები და ახალგაზრდები. სამოქმედო გეგმაში გაწერილი ცალკეული ღონისძიებებისა და მთლიანი გეგმის შესრულებაზე მთავარი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, საფინანსო-საბიუჯეტო და ადმინისტრაციული სამსახური.

თემა ტური ბლოკ ები	მთავარი მიზნები	ქმედება	ხანგრძლივობა (დაწყება/დასრულება)	მონაწილე პარტნიორები	საორიენტაციო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)	მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები	შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები
1. გარეპოზიციონირება და მარკეტინგი	1. მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა	1.1. სიღნაღის მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის ყოველწლიური ფესტივალებისა და სახალხო დღესასწაულის მოწყობა	1/2020-12/2020	სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია, ადგილობრივი მეწარმეები.	50000 ლარი 15263 ევრო	ჩატარებულია 4 ადგილობრივი ფესტივალი და 2 სახალხო დღესასწაული	გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა, მომხდარა წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია; გაეზარდათ შემოსავლები ადგილობრივ მეწარმეებს /ფესტივალებში და სახალხო დღესასწაულებში მოწვეულთა ოდენობა, პროდუქციის რეალიზაციის ზრდა, გაყიდვების ზრდა.
		1.2. ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა ბაზრობებში და ფესტივალებში მონაწილეობა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება დამეგობრებულ ქალაქებთან.	1/2020-12/2020	სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია	40000 ლარი 12210 ევრო	შერჩეულია ღონისძიებები მონაწილეობის მისაღებად მიღებულია მონაწილეობა შერჩეულ ფესტივალებში, გამოფენა ბაზრობებში, დამეგობრებულ ქალაქებში განხორციელებულია ვიზიტები /ფესტივალებში და გამოფენა ბაზრობებში მონაწილეობის,	გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის და საინვესტიციო შესაძლებლობები შესახებ ინფორმირებულია ფართო მასები, ინვესტორები და ინტერესებული დამეგობრებული ქალაქებისა და საერთაშორისო პარტნიორების ოდენობა გაზრდილია, მომატებულია ტურისტთა ნაკადები /ფესტივალებსა და გამოფენა ბაზრობებში მონაწილეობა, ოდენობა,

						დამეგობრებულ ქალაქებში ვიზიტების ოდენობა	საინვესტიციო პაკეტებისა და საცნობარო-სარეკლამო მასალების ოდენობა დაინტერესებული ინვესტორების რაოდენობა, დამეგობრებული ქალაქებისა და საერთაშორისო პარტნიორების ოდენობა, ტურისტული ნაკლები დინამიკაში
2. უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება; 4. წვდომა ფინანსებზე	2. სამეწარმეო უნარების განვითარება	2.1. სტარტაპერების, ახალგაზრდების, ქალების, შშმ. პირებისთვის და ინკლუზიური ჯგუფებისთვის სამეწარმეო და სამუშაო უნარებისა და ეკონომიკური გაძლიერებისთვის სასწავლო შეხვედრების ჩატარება	1/2020-12/2020	სიღნაღის მუნიციპალიტეტი ს მერია. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	15000 ლარი 4579 ევრო	ჩატარებულია სასწავლო შეხვედრები, გადამზადებულია სტარტაპერები, ახალგაზრდები, ქალები, შშმ პირები, ბიზნეს საქმიანობისთვის მოწყვლადი ჯგუფები/ ჩატარებულია სასწავლო შეხვედრების/ მონაწილე პირთა ოდენობა	ადამიანური რესურსების ზრდა, ახალგაზრდების, ქალების, შშმ. პირებისა და მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების შესაძლებლობის ზრდა/ცნობიერება ამაღლებულ პირთა ოდენობა, მათგან დასასაქმებულ პირთა ოდენობა
		2.2. აგროსექტორის დარგის სპეციალისტების გადამზადება	01/2020-12/2020	სიღნაღის მუნიციპალიტეტი ს მერია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეო ბის სამინისტრო.	30000 ლარი 9158 ევრო	გადამზადებისთვის გაგზავნილია დარგის სპეციალისტები, ჩატარებულია ტრენინგები, გამართულია აგროტურები აგროსექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით/ გადამზადებულ სპეციალისტთა ოდენობა ჩატარებული ტრენინგების, აგროტურების რაოდენობა	კვალიფიკაცია ამაღლებული აქვთ დარგის სპეციალისტებს, გაზრდილია მეფუტკრეებისათვის, მეცხოველეებისა და მევენახეებისათვის კვალიფიკაცია ამაღლებულ სპეციალისტთა მომსახურების ხელმისაწვდომობა, დანერგილია ახალი ტექნოლოგიები და მიდგომები, გაზრდილია ფერმერთა შემოსავლები /სპეციალისტების მიერ გაწეული მომსახურების ოდენობა, ფერმერთა შემოსავლები დინამიკაში, ცნობიერება გაზრდილ პირთა რაოდენობა, ახალი ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენების ოდენობა, შემოსავლების ზრდა დინამიკაში
	2.3. ბიზნესის დამწყებთა და მცირე მეწარმეებისთვის დაფინანსების ხელისაწვდომობა	01/2020-06/2020	სიღნაღის მუნიციპალიტეტი ს მერია, სსიპ „აწარმოე საქართველოში“	166 205 ლარი 52 302 ევრო	ჩატარდა ტრენინგები და შეხვედრები სადაც მოსახლეობამ გაიარა წარმატებული საპროექტო განაცხადების შედგენის	გრანტებით დაფინანსებული საწარმოები მუშაობს სრული დატვირთვით. შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები. გაიზარდა შემოსავლები.	

						ტექნიკები. გაიზარდა სწორად დაწერილი საპროექტო განაცხადების რაოდენობა. გაორმაგდა დაფინანსებული პროექტების რაოდენობა. ძირითადი შედეგები აისახა მცირე მარნებზე და მეღვინეებზე, ტურისტული კუთხით.	
--	--	--	--	--	--	---	--

10. დაფინანსების სქემა

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დაფინანსების სქემაში განსაზღვრული თითოეული ღონისძიების საორიენტაციო ღირებულება მოიცავს, როგორც კაპიტალურ ხარჯებს, ასევე სხვა სახის ხარჯებს, გაწერილია მსგავსი ღონისძიებების მაგალითზე და არსებული გამოცდილების გათვალისწინებით. ქმედებებს შორის სახსრების განაწილება შეესაბამება გეგმაში ფარდობითი პრიორიტეტების წონას.

ღონისძიებები	საორიენტაციო ღირებულება	დაფინანსებ24 56სწყარო				წყვეტადაფინანსებაში	შენიშვნები
		ადგილობრივი იბიუჯეტი	მაღალიდონის ბიუჯეტი	ბიზნესი	დონორები		
1.1. სიღნაღის მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის ყოველწლიური ფესტივალებისა და სახალხო დღესასწაულის მოწყობა	50 000 ლარი 15 263 ევრო	40 000 ლარი 12 210 ევრო		10 000 ლარი 3 052 ევრო			
1.2. ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა ბაზრობებში და ფესტივალებში მონაწილეობა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება დამეგობრებულ ქალაქებთან.	40 000 ლარი 12 210 ევრო	40 000 ლარი 12 210 ევრო					

2.1. სტარტაპერების, ახალგაზრდების, ქალების, შშმ. პირებისთვის და ინკლუზიური ჯგუფებისთვის სამეწარმო და სამუშაო უნარებისა და ეკონომიკური გაძლიერებისთვის სასწავლო შეხვედრების ჩატარება	15 000 ლარი 4 579 ევრო	5 000 ლარი 1 526 ევრო	10 000 ლარი 3 169 ევრო				
2.2. აგროსექტორის დარგის სპეციალისტების გადამზადება	30 000 ლარი 9 158 ევრო	10 000 ლარი 3 052 ევრო	20 000 ლარი 6 339 ევრო				
2.3. ბიზნესის დამწყებთა და მცირე მეწარმეებისთვის დაფინანსების ხელისაწვდომობა	52 302 ევრო 166 205 ლარი	2 000 ევრო 6 355 ლარი	50 302 ევრო 159 849 ლარი				
სულ	301 205 ლარი 93 512 ევრო	101 355 ლარი 30 998 ევრო	189 849 ლარი 59 810 ევრო	10 000 ლარი 3 052 ევრო			

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულებას კოორდინაციასა და მონიტორინგს გაუწევს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცერი და პარტნიორების მიერ ჩამოყალიბებული მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფი თანაბრად იქნება დაბალანსებული ქალებით და მამაკაცებით. ჯგუფი ყოველ 2-3 თვეში ერთხელ შეიკრიბება, შეაჯამებს გაწეულ სამუშაოებს და იმსჯელებს სამომავლო ღონისძიებების განხორციელების ეფექტურ გზებზე.

ქმედება	ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)	მოსალოდნელი შედეგები თვე 1-3	მოსალოდნელი შედეგები თვე 4-6	მოსალოდნელი შედეგები თვე 7-9	მოსალოდნელი შედეგები თვე 10-12
1.1. სიღნაღის მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის ყოველწლიური ფესტივალებისა და სახალხო დღესასწაულის მოწყობა	1/2020-12/2020	კერძო სექტორის ჩართულობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფები და დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავება	მოეწყო 1 ადგილობრივი ფესტივალი	კერძო სექტორის ჩართულობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფები და დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავება	მოეწყო 1 ადგილობრივი ფესტივალი
1.2. ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა ბაზრობებში და ფესტივალებში მონაწილეობა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება დამეგობრებულ ქალაქებთან.	1/2020-12/2020	შეირჩა 1 ადგილობრივი ან საერთაშორისო ბაზრობა, გამოფენა, ფესტივალი მონაწილეობის მისაღებად, განისაზღვრა დელეგაციის შემადგენლობა, მომზადდა საინფორმაცია-საცნობარო	შეირჩა 1 ადგილობრივი ან საერთაშორისო ბაზრობა, გამოფენა, ფესტივალი მონაწილეობის მისაღებად, განისაზღვრა დელეგაციის შემადგენლობა, მომზადდა საინფორმაცია-საცნობარო	შეირჩა 1 ადგილობრივი ან საერთაშორისო ბაზრობა, გამოფენა, ფესტივალი მონაწილეობის მისაღებად, განისაზღვრა დელეგაციის შემადგენლობა, მომზადდა საინფორმაცია-საცნობარო	შეირჩა 1 ადგილობრივი ან საერთაშორისო ბაზრობა, გამოფენა, ფესტივალი მონაწილეობის მისაღებად, განისაზღვრა დელეგაციის შემადგენლობა, მომზადდა საინფორმაცია-საცნობარო

		მასალები, მიღებულია მონაწილეობა 1 ღონისძიებაში	მასალები, მიღებულია მონაწილეობა 1 ღონისძიებაში	მასალები, მიღებულია მონაწილეობა 1 ღონისძიებაში	მასალები, მიღებულია მონაწილეობა 1 ღონისძიებაში
2.1. სტარტაპერების, ახალგაზრდების, ქალების, შშმ. პირებისთვის და ინკლუზიური ჯგუფებისთვის სამეწარმო და სამუშაო უნარებისა და ეკონომიკური გაძლიერებისთვის სასწავლო შეხვედრების ჩატარება	1/2020-12/2020	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, ცნობიერება ამაღლებულია 30 პირი	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, ცნობიერება ამაღლებულია 30 პირი	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, ცნობიერება ამაღლებულია 30 პირი	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, ცნობიერება ამაღლებულია 30 პირი
2.2. აგროსექტორის დარგის სპეციალისტების გადამზადება	02/2019-12/2020	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, ცნობიერება ამაღლებულია 30 პირი აგროტურების გეგმა დასახულია. გადამზადების მიზნით შერჩეული იქნა ერთი კანდიდატურა მეფუტკრის, ორი კანდიდატურა ვეტერინარის და აგრონომი მევენახის.	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, ცნობიერება ამაღლებულია 30 პირი აგროტურებში მონაწილეობა მიღებულია აქვს 20 პირს შერჩეულია სასწავლო-გადამზადების ცენტრი	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, ცნობიერება ამაღლებულია 30 პირი აგროტურების გეგმა დასახულია. გაგზავნილია კადრები გადასამზადებლად.	შერჩეულია სატრენინგო თემა და სამიზნე ჯგუფები, შედგენილია სატრენინგო პროგრამა, ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, ცნობიერება ამაღლებულია 30 პირი აგროტურებში მონაწილეობა მიღებულია აქვს 20 პირს, გადამზადებულია კადრები
2.3. ბიზნესის დამწყებთა და მცირე მეწარმეებისთვის დაფინანსების ხელისაწვდომობა	02/2020-12/2020	შედგენილია სატრენინგო საკითხები/გადამზადების საკითხები. შეირჩა სამიზნე ჯგუფები. თითოეული ადმინისტრაციული ერთეულიდან 15 ადამიანი, რომლებიც არიან დამწყები მეწარმეები ან აპირებენ დაწყებას.	დაიგეგმა ტრენინგების ჩატარების თარიღები და ლოკაციები. ჩატარდა პიარ კამპანია გადამზადების და საგრანტო პროექტების შესახებ.	დატრენინგებული მეწარმეების მიერ დაიწერა განაცხადები, რომელიც შეესაბამება თანხის გამცემი ორგანიზაციის მოთხოვნებს. დადებითი შეფასება დაიმსახურა სილნალის მუნიციპალიტეტიდან გაკეთებული განაცხადების 80%-მა.	აწარმოე საქართველოს ფარგლებში დაფინანსდა სილნალიდან გაკეთებული განაცხადები. 20-ზე მეტი ახალი მცირე საწარმო დაფინანსდა. საწარმოებმა გაახლეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აუცილებელი გახდება საწარმოთა ზრდასთან ერთად გაიზარდოს დასაქმებულთა რაოდენობა.
მთელი ბიუჯეტის დახარჯული % (საორიენტაციო)	100 %	25%	25%	25%	25%